



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე
არსებული გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოების
სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

სარჩევი

1	ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	3
2	ტექნიკური მოთხოვნები	4
3	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	6
4	დანართი N1 ხარჯთაღრიცხვა	12
5	დანართი N2 გარანტიის ფორმა	22
6	დანართი N3 გამოცდილება	23

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

1.7 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენილობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

1.8 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.9 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.10 უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

1.11 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7, მე-15 სართული. საკონტაქტო პირი: ცირა მალრაძე, ტელ: +99532 237 85 71. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით საკონტაქტო პირი ბ-ნი ნიკოლოზ ბურდული, ტელეფონის ნომერი 574570696.

2. ტექნიკური მოთხოვნები

2.1 ტექნიკური პირობები:

შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და რაოდენობა განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ში.

ესკიზები და ხარჯთაღრიცხვის ექსელის ფორმატის ფაილი ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

შენიშვნა:

- მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების წარმოებისას დაიცვას უსაფრთხოების ნორმები და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს პერსონალი ერთნაირი სპეც. ტანსაცმლით და ჩაფხუტებით.
- მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულებისას უნდა უზრუნველყოს წყლისა და კანალიზაციის ცენტრალურ მაგისტრალზე დაერთების ხარჯები, ვალდებულია სამუშაოების დასრულებისას საკუთარი ხარჯებით დაფაროს ყველა არსებული დავალიანება და სამუშაოების წარმოებისას დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღადგინოს არსებული ინფრასტრუქტურა.
- მიწოდებული საქონელი და სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ით და ესკიზებით მოთხოვნილ პარამეტრებს. მიმწოდებელმა, აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ლაბორატორიული დასკვნა შეტანილი ნოყიერი ნიადაგის ნაზავის სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შესაბამისობის შესახებ.
- მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს ფაქტიურად მოწყობილი ელ. ქსელის საშემსრულებლო ნახაზი, დამიწების კონტურის გაზომვისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მოწყობილი ქსელი შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით გადააბაროს შესაბამის ორგანიზაციას. ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება გადაბარების შემდეგ.

შეტანილი ნოყიერი ნიადაგის პარამეტრები

N	დასახელება	განზ.	ხელშეკრულებით	
			MIN.	MAX.
1	მოძრავი აზოტი N	მლ. კგ.	70	160
2	მოძრავი ფოსფორი P2O5	მლ. კგ.	25	90
3	გაცვლითი კალიუმი K2O	მლ. კგ.	250	600
4	არეს რეაქცია PH		6	7,5
5	კარბონატური CaCO3	%	0	5
6	ჰუმუსი	%	3	7

2.2 გამოცდილება.

პრეტენდენტს 2014 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს არანაკლებ **150000** ლარის ღირებულების გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოების გამოცდილება (წარმოდგენილ იქნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ხელშეკრულებ(ებ)ი, ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმა N2 ან სხვა) (დანართი №3).

2.3 მიწოდების ვადა და ადგილი:

2.3.1 სამუშაოების მიწოდების ვადა: ეტაპობრივად, შემსყიდველის (წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის სახით) მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

2.3.2 მიმწოდებელს კონკრეტული ობიექტის მისამართი, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და სამუშაოებისთვის განსაზღვრული ვადები გადაეცემა წერილობით.

2.3.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს წერილობითი დავალების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარულ დღეში.

2.3.4 მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები ერთდროულად აწარმოოს 2, 3 ან 4 ობიექტზე.

2.3.5 მიწოდების ადგილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული გამწვანებული ტერიტორიები.

2.4 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

2.4.1 ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, დანართი N2-ის მიხედვით (იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 200000 ლარზე ნაკლებს, გამარჯვებულ პრეტენდენტს არ წარმოემგება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის ვალდებულება).

2.4.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადას.

2.4.3 უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2.5 შესრულებული სამუშაოს ხარისხის გარანტია

2.5.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი.

2.5.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

2.5.3 სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნება 5%. დაკავებული 5%-დან 2,5%-ის გადახდა განხორციელდება სამუშაოს სრულად დასრულებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო დარჩენილი 2,5%-ის გადახდა მოხდება ხარვეზების აღმოფხვრის და საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.

2.5.4 მიმწოდებლის მხრიდან, საგარანტიო პერიოდის სრული ვადის ამოწურვამდე, დარჩენილ 2,5 %-ზე უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს თანხის გადახდა. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2.5.5 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს სატენდერო პირობების 2.5.2 პუნქტის მოთხოვნებს მაშინ 2.5.3 პუნქტით განსაზღვრული დარჩენილი 2,5 % არ ანაზღაურდება.

2.5.6 თუკი ხელშეკრულების საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზარალი დარჩენილ 2,5 %-ზე მეტი ოდნობით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ნარჩენი ღირებულება ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

2.6 ანგარიშსწორების პირობები.

2.6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.6.2 ანგარიშსწორება მოხდება 2017 წ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

2.6.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოყენება.

2.7. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.7.1 ხარჯთაღრიცხვა დანართი NI-ის მიხედვით (ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას).

2.7.2 ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ დანართი №3-ის შესაბამისად.

შენიშვნა:

1. სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, უცხოური საწარმოს/უცხოური საწარმოს ფილიალის/წარმომადგენლობის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოგენილ, უცხო ქვეყანაში შედგენილ დოკუმენტზე ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის ან შესაბამისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის ხელმოწერა - ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული.

2. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლეგან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი

თარიღი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი - --- სახით და მეორეს მხრივ ---- (“შემდგომში მიმწოდებელი”), წარმოდგენილი ---- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები, რომელიც განსაზღვრულია მიმწოდებლის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში, თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 შესყიდვის საშუალება – ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.

2.3 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე განცხადების ნომერი -----

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.5 კლასიფიკატორის კოდი - **45112710** - გამწვანებული ტერიტორიების მოწყობის სამუშაოები.

2.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია ----- ჩათვლით.

3. სამუშაოს შესრულების ვადები და პირობები

3.1 სამუშაოების მიწოდების ვადა: ეტაპობრივად, შემსყიდველის (წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის სახით) მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

3.2 მიმწოდებელს კონკრეტული ობიექტის მისამართი, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და სამუშაოებისთვის განსაზღვრული ვადები გადაეცემა წერილობით.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს წერილობითი დავალების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარულ დღეში.

3.4 მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები ერთდროულად აწარმოოს 2, 3 ან 4 ობიექტზე.

3.5 მიწოდების ადგილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული გამწვანებული ტერიტორიები.

3.6 მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულებისას უნდა უზრუნველყოს წყლისა და კანალიზაციის ცენტრალურ მაგისტრალზე დაერთების ხარჯები, ვალდებულია სამუშაოების დასრულებისას საკუთარი ხარჯებით დაფაროს ყველა არსებული დავალიანება და სამუშაოების წარმოებისას დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღადგინოს არსებული ინფრასტრუქტურა.

3.7 მიწოდებული საქონელი და სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების დანართი N1-ით და ესპეციებით მოთხოვნილ პარამეტრებს. მიმწოდებელმა, აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ლაბორატორიული დასკვნა შეტანილი ნოყიერი ნიადაგის ნაზავის სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შესაბამისობის შესახებ.

3.8 მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს ფაქტიურად მოწყობილი ელ. ქსელის საშემსრულებლო ნახაზი, დამიწების კონტურის გაზომვისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მოწყობილი ქსელი შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით გადააბაროს შესაბამის ორგანიზაციას. ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება გადაბარების შემდეგ.

3.9 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების წარმოებისას დაიცვას უსაფრთხოების ნორმები და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს პერსონალი ერთნაირი სპეც. ტანსაცმლით და ჩაფხუტებით.

4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

4.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი.

4.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

4.3 სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნება 5%. დაკავებული 5%-დან 2,5%-ის გადახდა განხორციელდება სამუშაოს სრულად დასრულებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო დარჩენილი 2,5%-ის გადახდა მოხდება ხარვეზების აღმოფხვრის და საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.

4.4 მიმწოდებლის მხრიდან, საგარანტიო პერიოდის სრული ვადის ამოწურვამდე, დარჩენილ 2,5 %-ზე უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს თანხის გადახდა. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

4.5 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების 4.2 პუნქტის მოთხოვნებს მაშინ 4.3 პუნქტით განსაზღვრული დარჩენილი 2,5 % არ ანაზღაურდება.

4.6 თუკი ხელშეკრულების საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზარალი დარჩენილ 2,5 %-ზე მეტი ოდნობით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ნარჩენი ღირებულება ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის თანამშრომლები ან/და სამსახურის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ამასთან, შესრულებული სამუშაოების (ან მისი ნაწილის) დასრულების თარიღად ჩაითვლება „შესრულებული სამუშაოების აქტში“ (ფორმა N2) მითითებული სამუშაოს დასრულების თარიღი.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს ფაქტიურად მოწყობილი ელ. ქსელის საშემსრულებლო ნახაზი, დამიწების კონტურის გაზომვისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მოწყობილი ქსელი შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით გადააბაროს შესაბამის ორგანიზაციას. ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება გადაბარების შემდეგ.

6.3 იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობების ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას, აღნიშნული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს), აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)თან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.

6.5 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.6 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2017 წ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მიმწოდებელი თანახმაა მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებამდე, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ მიმართულ იქნეს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოყენება.

8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე _ საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.2 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

შენიშვნა: უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.2 წერილობითი დავალების მიღებიდან სამუშაოების დაწყების 3 (სამი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

9.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.4 წერილობითი დავალებით განსაზღვრული კონკრეტული სამუშაოს დასრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვადაგადაცილებით წარმოდგენილი და მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებული დადასტურებული სამუშაოების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ (იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 200 000 ლარზე ნაკლებს, საბანკო გარანტიის მექანიზმი არ გამოიყენება და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით).

9.6 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი)კალენდარული დღის ვადაში.

9.7 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.8 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ წერილობითი დავალების მიღებიდან სამუშაოების დაწყების 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

ბ) მიმწოდებლის მიერ წერილობითი დავალებით განსაზღვრული კონკრეტული სამუშაოს შესრულების ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

10.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

12.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

12.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

12.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

12.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. უფლებების გადაცემა

14.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

15. ღირებულება

15.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

15.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

15.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

15.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

16. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

16.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

16.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი ----- საკონტ. პირი ბ/ქ-ნ -----, ელექტრონული ფოსტა: -----; ფაქსი (არსებობის შემთხვევაში): -----;

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 574570696; საკონტ. პირი ბ-ნი ნიკოლოზ ბურდული; ელექტრონული ფოსტა: egd@tbilisi.gov.ge;

16.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

16.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

17.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს

17.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

17.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. სხვა პირობები

18.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

18.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

19. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

-

ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტის დასახელება _____

№	სამუშაოების დასახელება	საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება
1	სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები	
2	ფურნიტურა	
3	ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები	
	ჯამი	

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები
ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №1

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი და მექანიზმი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	<i>მოსამზადებელი სამუშაოები</i>									
1	ტერიტორიის მოსუფთავება არსებული მიწზე დანაგვიანებისგან და გატანა (მექანიზმებისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ ²	1600							

2	არსებული ამორტიზირებული საფარის (მათ შორის მოპირკეთების) დემონტაჟი, დატვირთვა ავტოთვიომცლელზე და გატანა <i>(მექანიზმებისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)</i>	გ²	400							
3	არსებული საფარის (მათ შორის მოპირკეთების) დემონტაჟი, ქ. თბილისის ფარგლებში ტრანსპორტირება და ტექ. ზედამხედველის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე დასაწყობება	გ²	80							
4	არსებული ამორტიზირებული ბორდიურების დემონტაჟი, დატვირთვა ავტოთვიომცლელზე და გატანა <i>(მექანიზმებისა და სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით)</i>	მ	320							
5	სკვერის ტერიტორიაზე არსებული ამორტიზირებული კედლების, კიბეების, სხვა ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი, დატვირთვა ავტოთვიომცლელზე და გატანა <i>(მექანიზმებისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)</i>	გ³	16							
6	არსებული ღობის დემონტაჟი, ქ. თბილისის ფარგლებში ტრანსპორტირება და ტექ. ზედამხედველის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე დასაწყობება	მ	40							
7	არსებული საბადე ფურნიტურის, საბავშვო და სავარჯიშო მოწყობილობების დემონტაჟი, ქ. თბილისის ფარგლებში ტრანსპორტირება და ტექ. ზედამხედველის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე დასაწყობება	ც.	24							
8	არსებული საბადე ფურნიტურის, საბავშვო და სავარჯიშო მოწყობილობების დემონტაჟი და ტექ. ზედამხედველის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე მონტაჟი <i>(არსებობის შემთხვევაში და ზიანებული ელემენტების აღდგენით)</i>	ც.	8							
9	გრუნტის მოჭრა, დატვირთვა ავტოთვიომცლელზე და გატანა <i>(მექანიზმებისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)</i>	გ³	40							
10	გრუნტის მოჭრა, გადაბარვა, მოსწორება საჭირო ნიშნულებზე და დატკეპნა	გ²	1600							
11	ნიადაგის ნოყიერი ნაზავი <i>(პარამეტრები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, შემსრულებლის მიერ მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე უნდა იქნას წარმოდგენილი დასკვნა შეტანილ ნაზავის იდნტურობის შესახებ)</i>	მ³	60							
12	ნიადაგის ნოყიერი ნაზავის შეტანა, მოსწორება და დატკეპნა	მ³	60							
13	ტერიტორიაზე არსებული მონუმენტის, აღდგენა და გაწმენდა-გარეცხვა <i>(შესაბამისი სარეცხი საშუალებების ღირებულების გათვალისწინებით)</i>	ც.	3							
14	არსებული ჭების გასწორება საჭირო ნიშნულზე <i>(მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)</i>	ც.	8							

15	არსებული ხანდაზმული და ხმობაში შესული ხე-მცენარის მოჭრა, კუნძების ამოძირკვა და გატანა <i>(ტექ. ზედამხედველის მითითებით, აგროტექნიკური ნორმების დაცვით)</i>	ც.	8						
16	ხეების ფორმირება, დამუშავება და გატანა	ც.	40						
17	არსებული მცენარის ამოღება და გადარგვა <i>(აგროტექნიკური ნორმების დაცვით)</i>	ც.	20						
	ჯამი								
2	ბორდიურის მოწყობა								
1	გრუნტის მოჭრა ხელით ბორდიურების მოსაწყობად და ტერიტორიაზე გაშლა-გასწორება	გ³	15,12						
2	ღორღი ფრაქციით 10-20 მმ. (ბორდიურის მოსაწყობად)	გ³	10,08						
3	ბორდიურების მოსაწყობად ღორღის ფენის გაშლა და დატკეპნა	გ³	10,08						
4	ბეტონის ბორდიური (0,2X0,07მ)	მ	200,00						
5	არმირებული ბეტონის დეკორატიული ბორდიური <i>(ესკიზის იდენტური)</i>	მ	200,00						
6	ბაზალტის ბორდიური (0,2X0,1მ)	მ	60,00						
7	ღია ფერის გრანიტის (დაბუნარკებული) ბორდიური (0,35X0,1მ)	მ	44,00						
8	ბორდიურის მოწყობა <i>(მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)</i>	მ	504,00						
9	არსებული ბორდიურების ამოღება და გასუფთავება	მ	160,00						
10	არსებული ბორდიურების თანაბარ ნიშნულზე მოწყობა <i>(დაზიანებულის ჩანაცვლება ახლით, შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)</i>	მ	160,00						
	ჯამი								
3	ფილების მოწყობა								
1	ღორღი ფრაქციით 10-20 მმ. (ფილების მოსაწყობად)	გ³	49,60						
2	ფილების მოსაწყობად ღორღის ფენის გაშლა და დატკეპნა	გ³	49,60						
3	ბეტონის (მინ. მ.200) მოჭიმვა <i>(შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)</i>	გ³	37,20						
4	ბეტონის ფილა <i>(სისქე მინ.30მმ)</i>	მ²	260,00						

5	არმირებული ბეტონის დეკორატიული ფილები (სისქე მინ.20მმ)	მ ²	220,00							
6	ბაზალტის ფილა (სისქე მინ. 30მმ)	მ ²	80,00							
7	თერმულად დამუშავებული კურსების გრანიტის ფილა (300X150მმ სისქე მინ.25მმ)	მ ²	60,00							
8	ფილების მოწყობა (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ ²	620,00							
	ჯამი									
4	დამცავი კედლების ლითონის დობების და ბარიერების მოწყობა									
1	მიწის მოჭრა არმირებული ბეტონის კედლის მოსაწყობად და ტერიტორიაზე გაშლა-გასწორება (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ ³	4,00							
2	რკინა-ბეტონის კედლების, კიბეების, პანდუსებისა და სხვა კონსტრუქციების მოწყობა (ბეტონი მინ. მ300; არმატურა Ø12მმ; ბიჯი მაქს. 0,2მ; შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ ³	12,00							
3	რკინა-ბეტონის დეკორატიული კედლის მოწყობა (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ ³	12,00							
4	არსებული შადრევნის აუზის შიდა ფართობის დამუშავება პენეტრონიანი ქვიშა-ცემენტის ხსნარით (1 მ ³ ხსნარში შერეული 3 კგ. პენეტრონი, მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ ²	40,00							
5	არსებული კედლებისა და შადრევნების ე.წ. "ქუდები"-სა და კიბეების საფეხურების აღდგენა-რესტავრირება (საჭიროებისამებრ: დემონტაჟი, ზედაპირების დამუშავება, დაზიანებულის ჩანაცვლება ახლით-არსებულის იდენტური, მონტაჟი, შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ	60,00							
6	დეკორატიული კედლის გალესვა და შეღებვა მაღალი ხარისხის წყალმდევი საღებავით (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ ²	60,00							
7	კედლების გალესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით და დაშეფევა ე.წ. დეკორატიული ცემენტით (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით, ფერი შეთანხმდეს დამკვეთთან)	მ ²	32,00							
8	არსებული დეკორატიული ქვით მოპირკეთებული კედლის დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა, გაწმენდა-დამუშავება შესაბამისი ხსნარით (არსებულის იდენტური შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ ²	20,00							

9	კურსების გრანიტის ქუდის (სიგანე მინ.300მმ.; სისქით მინ.40მმ.) მოწყობა (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ	8,00								
10	დეკორატიული ღობის (ესკიზი №1) დამზადება-მონტაჟი (შეღებილი ერთი პირი ანტიკოროზიული ხსნარით, ორი პირი წყალმდეფი საღებავით, ესკიზის იდენტური, მონტაჟი ესკიზი №6-ის მიხედვით შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ	20								
11	დეკორატიული ღობის (ესკიზი №2) დამზადება-მონტაჟი (შეღებილი ერთი პირი ანტიკოროზიული ხსნარით, ორი პირი წყალმდეფი საღებავით, ესკიზის იდენტური, მონტაჟი ესკიზი №6-ის მიხედვით შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ	20								
12	დეკორატიული ღობის (ესკიზი №3) დამზადება-მონტაჟი (შეღებილი ერთი პირი ანტიკოროზიული ხსნარით, ორი პირი წყალმდეფი საღებავით, ესკიზის იდენტური, მონტაჟი ესკიზი №6-ის მიხედვით შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ	20								
13	ლითონის D=89მმ ბარიერის მონტაჟი (№4 ესკიზის შესაბამისად) B-15 ბეტონის საფუძველზე (20X20X40) და ორჯერადი შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით	ც	16,00								
	ჯამი										
5	საბავშვო მოედნის მოწყობა										
1	მიწის მოჭრა ხელით ბეტონის ბორდიურების მოსაწყობად და ტერიტორიაზე გაშლა-გასწორება (მონტაჟის შემდეგ უკუმიყრა)	მ³	1,92								
2	ბეტონის ბორდიური (0,2X0,07მ)	მ	96,00								
3	ბორდიურის მოწყობა (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ	96,00								
4	ღორღი ფრაქციით 24-40 მმ.	მ³	6,00								
5	ღორღი ფრაქციით 05-16 მმ.	მ³	3,60								
6	ტერიტორიაზე ღორღის ფენის გაშლა და ტკეპანა(ესკიზი №7-ის იდენტურად)	მ³	9,60								
7	ბეტონის (m200) მოჭიმვა 60 მმ-ს სისქით მთლიან ფართობზე (ესკიზი №7-ის იდენტურად, შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ³	7,20								
8	კაუჩუკის 20მმ-იანი სისქის ფილები (ფერი წითელი)	მ²	60,00								
9	კაუჩუკის 20მმ-იანი სისქის ფილები (ფერი მწვანე)	მ²	60,00								
10	ორკომპონენტური კაუჩუკის წებო	კგ.	60,00								

11	კაუნუკის ფილების (სისქით 20მმ) დაგება ბეტონზე ორკომპონენტიანი წებოთი (ესკიზი №7-ის იდენტურად, შესაბამისი სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით, წებოს ხარჯი 1მ ² -ზე 0,5კგ.)	მ ²	120,00							
	ჯამი									
6	ინერტული მასალები									
1	წვრილმარცვლოვანი კირქვის ღორღი ფრაქციით 10-20 მმ.	მ ³	6,00							
2	წვრილმარცვლოვანი კირქვის ღორღის ფენის გაშლა და დატკეპნა	მ ³	6,00							
3	წვრილმარცვლოვანი წიდა (წითელი პემზა)	მ ³	6,00							
4	წვრილმარცვლოვანი წილის (წითელი პემზა) ფენის გაშლა და დატკეპნა	მ ³	6,00							
5	დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენა (შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ ³	10,00							
6	სხვადასხვა ფერის დეკორატიული კენჭები (ნიმუშის მსგავსი, დამკვეთთან შეთანხმებული, მინ. 6 ფერი, შედებილი ეკოლოგიურად უსაფრთხო წყალმდევეი საღებავით), ფრაქცია 05-20 მმ. ტერიტორიაზე გაშლა -დამკვეთთან შეთანხმებული დეკორაციის მიხედვით	მ ³	20							
7	ბალახისაგან დამცავი კენჭების ქვეშ დასაფენი - პოლიპროპილენის ტექსტილი (ტერიტორიაზე დამაგრებით, მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ ²	400							
8	პლასმასის ელასტიური კუთხოვანა (ზომა მინ. 30X30მმ) დეკორაციის შესაბამისად ფერადი კენჭების ფენების გამყოფად, მონტაჟით (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ	1200							
	ჯამი									
7	აღდგენითი სამუშაოები									
1	არსებული ფიცრების დამუშავება (საჭიროების შემთხვევაში მოხსნა, გასუფთავება ზუმფარის ქაღალდით, არსებული ხარვეზების შეესება შესაბამისი ფითხით)	მ ²	160,00							
2	ახალი ფიცრების დამზადება (მასალა გამომშრალი, არსებულის იდენტური)	მ ³	3,20							

3	ფიცრების შეღებვა მაღალი ხარისხის წყალმდევი ლაქით (ორი ფენა, შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ²	80,00							
4	ლითონის ზედაპირის დამუშავება (ლითონის ჯაგრისით) და შეღებვა (ორი ფენა) მაღალი ხარისხის წყალმდევი საღებავით (შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ²	32,00							
5	ფიცრების დამაგრება მაღალი სიმკვრივის ახალი სამაგრებით (შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	ც.	65,00							
6	ფიცრების შეღებვა (ორი ფენა) მაღალი ხარისხის წყალმდევი საღებავით (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ²	80,00							
7	საპარკე ფურნიტურის ანკერებით მონტაჟი (ესკიზი №5-ის მიხედვით, მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	ც.	22,00							
8	ლითონის დეტალის შეღებვა (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	წერტ.	40,00							
9	არსებული ღობეების აღდგენა (შესაბამისი მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ²	76,00							
	ჯამი									
მთლიანი ხარჯები										
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%								
	სულ									
	ზედნაღები ხარჯები	%								
	ჯამი									
	გეგმიური დაგროვება	%								
	ჯამი									
	დღგ 18%	18%								
	სულ ჯამი:									

**გამწვანებულ ტერიტორიებზე საბაღე ფურნიტურის მიწოდება მონტაჟით
ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №2**

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი და მექანიზმი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	ფურნიტურა (საპარკე სკამები და ურნები)									
1	ტუფის ქვის საპარკე სკამი (ესკიზი №9-ის იდენტური, ქვას ზედაპირის მთელ პერიმეტრზე უნდა გააჩნდეს დეკორატიული ზოლი ე.წ. „ფასკა“)	ც.	11,00							
2	ტუფის ქვის საპარკე სკამის მონტაჟი (ესკიზი №9-ის მიხედვით, მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	ც.	11,00							
3	ურნა ამოსაღები სათლით (ესკიზი №8-ის იდენტური), პროფილების მასალა: გამომშრალი წიფელი, შეღებილი (ორი პირი) წყალმდევეი ლაქით, ზომა 40X40 მმ. კარკასი-ზოლოვანი ლითონი, შეღებილი (ორი პირი) წყალმდევეი საღებავით, ზომა 4X25 მმ. სათლი-მოთუთიებული ლითონის ფურცელი ზომა 0,5 მმ. მონტაჟი უნდა განხორციელდეს ანკერებით (ესკიზი №5-ის მიხედვით)	ც.	22,00							
4	მოზაიკური ბეტონის მასიური საპარკე სკამი, მონტაჟით (ესკიზის იდენტური, მითითებული პარამეტრების გათვალისწინებით)	ც.	15							
5	მოზაიკური ბეტონის დეკორატიული საპარკე სკამი (საზურგით), მონტაჟით (ესკიზის იდენტური, მითითებული პარამეტრების გათვალისწინებით)	ც.	15							
6	მოზაიკური ბეტონის საპარკე სანაგვე ურნა ამოსაღები სათლით, მონტაჟით (ესკიზის იდენტური, მითითებული პარამეტრების გათვალისწინებით), სათლი – მოთუთიებული ლითონის ფურცელი (მინ. 0,5მმ)	ც.	30							
	ჯამი									
	გაუთვალისწინებელი ხარჯები		3%							
	ჯამი									
	ზედნაღები		%							
	ჯამი									
	მოგება		%							
	ჯამი									
	დ.ღ.გ.		18%							
	სულ ჯამი									

**ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები
ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №3**

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი და მექანიზმი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	თხრილის მომზადება კაბელის გასაცვანად (სიღრმე მინ.0.4მ მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	გრძ.მ	540,00							
2	ქვიშის ბალიშის მოწყობა (h=10სმ. მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	მ ³	10,80							
3	პლასტმასის გოფირებული მილი Ø50მმ მონტაჟით (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	გრძ.მ.	540,00							
4	სასიგნალო ლენტა მონტაჟით (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	გრძ.მ	540,00							
5	გრუნტის უკუჩაყრა ხელით	გრძ.მ	540,00							
6	დეკორატიული სანათის ბოძი (ესკიზის იდენტური, მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	ც.	45,00							
7	დეკორატიული პლასტმასის, თეთრი ფერის, სფეროს ფორმის სანათი მონტაჟით, ზომით 300 მმ 20-30 ვტ ეკო ნათურით (ესკიზის შესაბამისად, სრული კომპლექტაციით)	ცალი	30,00							
8	სანათი დიოდური ნათურით E27, 24ვტ. თეთრი ნათებით, ესკიზის შესაბამისი, სრული კომპლექტაციით	ცალი	15,00							
9	განათების ქსელზე დამიწების კონტურის მოწყობა (კრონშტეინი L=2,0მ დ=6მმ მონტაჟი) (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	ცალი	45,00							
10	სპილენძის ძარღვებიანი კაბელი პოლივინილქლორიდის ორმაგი უწვადი იზოლაციით კვეთით 5X2,5 (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	გრძ.მ	202,5							

11	სპილენძის ძარღვებიანი კაბელი პოლივინილქლორიდის ორმაგი უწვადი იზოლაციით კვეთით 5X4 (მასალისა და სამუშაოს ღირებულების გათვალისწინებით)	გრძმ	540,0							
	ჯამი									
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	3%								
	ჯამი									
	ზედნადები ხარჯები (მუშახელის პირდაპირი ხელფასიდან)	%								
	ჯამი									
	გეგმიური დაგროვება	%								
	ჯამი									
	დ.დ.გ.	18%								
	ჯამი									
12	დამიწების კონტურის გაზომვა და ელექტრო სამუშაოების გამართულობისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	ც.	2,00							
	სულ ჯამი									

შენიშვნა: ხარჯთაღრიცხვის ექსელის ფორმატის ფაილი ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

ხელმოწერა _____ ბ.ა

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

—

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ ტენდერში წარდგენილი
თავისი

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია
მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში
მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული
გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს
წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

—

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების
პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

(თარიღი)

(მისამართი)

მონაცემები პრეტენდენტის მიერ განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება _____

N	სამუშაოების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
1.				
2.				
3.				

შენიშვნა:

პრეტენდენტს 2014 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს არანაკლებ 150000 ლარის ღირებულების გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოების გამოცდილება, რომელიც ინფორმაციის სახით მოცემული უნდა იყოს დანართი N3-ით გათვალისწინებულ ცხრილში. აღნიშნული შესაბამის დადასტურებულ დოკუმენტაციასთან (ხელშეკრულებ(ებ)ი), ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმა N2 ან სხვა) ერთად ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

ხელმოწერა ----- ბ.ა